



მცხეთა - მთიანეთის
საინფორმაციო
ცენტრი



28.02.2013 15:37

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [სტატიები](#) » „ლარსიკესი“ თრუსოს ხეობაში არ აშენდება - აცხადებს სამშენებლო კომპანია

„ლარსიკესი“ თრუსოს ხეობაში არ აშენდება - აცხადებს სამშენებლო კომპანია

2012.01.27 | 12:16 მანანა ქველიაშვილი



4 people like this. Be the first of your friends.

0





ყაზბეგის რაიონში მშენებარე „ლარსიკესმა“ შესაძლოა თრუსოს ხეობის შესასვლელი ჩაკეტოს. ასეთ ვარაუდს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების“ ექსპერტი გამოთქვამს. თავად მშენებლობის ორგანიზატორი კი აცხადებს, რომ ჰესი დარიალის ხეობაში შენდება და თრუსოსთან საერთოდ არაფერი აკავშირებს.

„კარგი იქნება, ჯერ რუკა ნახონ და ისე წამოაყენონ პროექტები“, - ამბობს შპს „ფერის“ ხელმძღვანელი ლაშა იორდანიშვილი. შპს „ფერი“ შპს „ენერჯიასთან“ ერთად „ლარსიკესს“ აშენებს. მშენებლობა 20 მილიონი ლარი ჯდება. ლაშა იორდანიშვილი პარალელურად შპს „დარიალი ენერჯის“ ხელმძღვანელიცაა, რომელსაც „დარიალი ჰესის“ აგება ევალება. ორივე ჰესი მდინარე თერგზე შენდება.

„ლარსიკესის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში გარემოს დაცვის სამინისტრომ დადებითად შეაფასა. ანგარიშში წერია, რომ ჰესის მშენებლობა გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს.

განსხვავებული მოსაზრება აქვს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების“ ექსპერტს კოტე ბურჯანაძეს. მისი თქმით, „ლარსიკესის“ მშენებლობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თრუსოს ხეობას, ჩაკეტოს ხეობაში შესასვლელი.

„ჯერ ერთი, „ლარსიკესის“ მშენებლობა თერგზე წარმოქმნის პრობლემებს. თერგის იქტოფაუნაზე ძალიან დიდი ზეგავლენა ექნება. მეორეც, ჰესის მშენებლობა თრუსოს ხეობის შესასვლელს უქმნის საფრთხეს. გარემოს დაცვის შეფასების ანგარიში ისე არის დაწერილი, რომ ზუსტი კოორდინატები და ადგილი, სადაც ჰესი უნდა აშენდეს, განუსაზღვრელია. ვარაუდით შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ზუსტად თრუსოს ხეობის შესართავში. თუ მდინარე აქ დააგუბეს (სადაც თრუსოს ხეობა გამოდის თერგზე) მაშინ

თრუსოს ხეობაში შესასვლელი თერგის მხრიდან ჩაიკეტება,“ - აცხადებს კოტე ბურჯანაძე.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი ნინო ჩხოვაძე, გასულ წელს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ „ლარსიჰესის“ მშენებლობით საქართველო თრუსოს ხეობას მთლიანად დაკარგავდა.

რეალურად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, „ლარსიჰესი“ დარიალის ხეობაში, ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ახლოს შენდება, რომელიც თრუსოს ხეობის შესასვლელისგან დიდი მანძილითაა დაშორებული.

„საერთოდ სასაცილოა, რომ მწვანეთა მოძრაობა ხელს უშლის ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას. ვგულისხმობ კაშხლის გარეშე აგებულ ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც მთელს მსოფლიოში ყველაზე სუფთა ენერჯის მწარმოებლად მიიჩნევა. რა თქმა უნდა, მეტნაკლებად, გარემოზე ზემოქმედებას ახდენს, მაგრამ მაინც ეს არის ყველაზე „მეგობრული“ ჰესი, კაშხლისა და დაგუბების გარეშე. რაც შეეხება თრუსოს ხეობას, კარგი იქნება, ჯერ რუკა ნახონ და ისე წამოაყენონ პრეტენზიები. „ლარსიჰესი“ შენდება დარიალის ხეობაში, ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან ახლოს,“ - აცხადებს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ლაშა იორდანიშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანალიტიკოსის ქეთი გუჯარაიძის განცხადებით, „ლარსიჰესი“ გარემოზე გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს, თუმცა მცირე მასშტაბით.

„ლარსიჰესთან“ დაკავშირებით მთავარ პრობლემად სხვა რამ მიგვაჩნია. არც მისი და არც დარიალის ჰესის პროექტების შედგენისას არ გაითვალისწინეს ამ ორი ჰესის ერთდროული მშენებლობითა და ოპერირებით გამოწვეული ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. დარიალის ჰესის საპროექტო დოკუმენტაციას, ჩვენი შენიშვნების საფუძველზე, ერთი თავი დაამატეს, თუმცა იქ წარმოდგენილი შეფასებები, არარეალისტური და დაუსაბუთებელია,“ - აცხადებს გუჯარაიძე.

შპს „ენერჯიას“ ინფორმაციით, „ლარსიჰესის“ მშენებლობა 2013 წლის დეკემბერში დასრულდება.